ნიკოლოზ ფიფია

არჩევნები და ფინანსები

ნიკოლოზ ფიფია
სტუ-ს სამართლის დოქტორანტი

როდესაც ადამიანთა მთავარი საზრუნავია მეტი მატერიალური დოვლათის შექმნა და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გასაკვირი არ არის, რომ ფინანსები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის, პოლიტიკისაც და მით უმეტეს, არჩევნებს.

ძალზე მოსწრებულად და სამართლიანად აღნიშნა აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა სპიკერმა **თომას ო'ნილმა**: „დღეს ყოველი კამპანია (იგულისხმება საარჩევნო **ნ. ფ.**) შედგება ოთხი ნაწილისაგან: კანდიდატი, კანდიდატის პროგრამა, კამპანიის ორგანიზაცია და კამპანიის წარმოებისათვის საჭირო სახსრები. სახსრების გარეშე შეგიძლიათ დაივიწყოთ დანარჩენი სამი". ფულით კამპანიისათვის შესაძლებელია დაიქირავოთ საუკეთესო მენეჯერები, ტექნიკური საშუალებები, ტრანსპორტი, კვლევის ცენტრები და კონსულტანტები. ორგანიზაციის ხარისხს მხოლოდ ფული განსაზღვრავს.[1] მართლაცდა აშშ-ში პრეზიდენტად გახდომის ყველაზე მეტი შანსი აქვს იმას, ვისაც საარჩევნო კამპანიისთვის უფრო მეტი სახსრები გააჩნია. აღნიშნული იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი 2008 წლის არჩევნებში **ბარაკ ობამას** გამარჯვებისა.

ზემოაღნიშნულის განსამტკიცებლად წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს 2008 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატთა ფინასური დანახარჯების შესახებ.*

დემოკრატები:

ბარაკ ობამა – 113 291 435 აშშ დოლარი

ჰილარი კლიტონი – 105 350 197 აშშ დოლარი,

მაიკ გრაველი – 362 268 აშშ დოლარი,

რესპუბლიკელები:

ჯონ მაქკეინი – 48 518 664 აშშ დოლარი

რონ პაული – 26 512 232 აშშ დოლარი

მაიკ ჰუკაბი – 12 021 536 აშშ დოლარი

ალან კეისი – 196 174. აშშ დოლარი.[2]

მოგეხსენებათ, რომ ზემოაღნიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა **ბარაკ ობამამ.** როგორც ვხედავთ, ფინანსური უპირატესობა არჩევნების საბოლოო შედეგზე არსებით გავლენას ახდენს.

პროფესორი ჰილარი ბარნეტი გამოყოფს სახელმწიფო დაფინანსების დადებით და უარყოფით მხარეებს. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დაფინანსება:

1) პარტიათა გაერთიანებას შეაფერხებს;

2) უფრო მეტად წაახალისებს ახალი პარტიების შექმნას და გაზრდის „ექსტრემისტ" პარტიებს.

მეორეს მხრივ:

1) სახელმწიფო დაფინანსების შემოღების შემთხვევაში მიღწეულ იქნება პოლიტიკურ პარტიებს შორის გარკვეული თანხმობა;

2) ასევე პარტიების ფინანსები იქნება უფრო გამჭვირვალე საზოგადოებისთვის;

3) გამორიცხავს საზოგადოების ეჭვებს პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესახებ[3].

პარტიის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს სახელმწიფო, ან კერძო დაფინანსება. პროფესორი **მაიკლ კოსი** თავის ნაშრომში „პარტიის დაფინანსების პოლიტიკა" მიიჩნევს, რომ პარტიის დაფინანსების წყარო მნიშვნელოვანია, თუ ის მოიცავს პარტიის შემოსავლის 25%-ზე მეტს[4]. როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაფინანსება შეადგენს პარტიების შემოსავლების მნიშვნელოვან 25-75%-ს შემდეგ ქვეყნებში: გერმანია, ნიდერლანდები, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი (1988 წლიდან). ხოლო სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული ქვეყნები არიან: შვედეთი, ავსტრია, დანია, ბელგია და ისრაელი. ანგლო-საქსონური ორბიტის ქვეყნებში მნიშვნელოვანი შემოსავალი უფრო კერძო წყაროებიდან არის. ეს ქვეყნებია: გაერთიანებული სამეფო, კანადა, აშშ, ავსტრალია, ირლანდია და მალტა, ასევე ლუქსემბურგი და შვეიცარია[5].

თუ ცესკო-ს ოფიციალურ მონაცემებს დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ სახსრებს საქართველოშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. ცესკო-ს ოფიციალური მონაცემებით მმართველმა სახელისუფლებო პარტიამ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დახარჯა 13 მილიონზე მეტი მაშინ, როცა სხვა ე.წ. კვალიფიციურმა პარტიებმა დახარჯეს დაახლოებით ნახევარი მილიონი, ხოლო დაფინანსებაზე არარსებულმა პარტიებმა კი – რამ

დენიმე ათეული ათასი, მათ შორის ერთ-ერთმა 2000 ლარამდე.[6] აღნიშნულ მონაცემებში შედის როგორც მატერიალური, ისე არამატერი-

[1] **ქენეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი, ჯერი გოლდმენი,** ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, თბილისი, 1995, გვ. 216.

* ქვემოთ მოყვანილი ციფრები ეყრდნობა ფედერალური საარჩევნო კომისიის (FEC) მონაცემებს.

[2] http://www.opensecrets.org/pres08/moneyweb.php?cycle=2008

[3] **Hilaire Barnett,** Constitutional and Administrative Law. გვ. 337.

[4] Michael Koss, The Politics of Party Funding. გვ. 17.

[5] იქვე გვ. 18-19.

ალური სახის შემოწირულობები. როგორც ვხედავთ, ზოგიერთ პოლიტიკური გაერთიანებას სახსრები თითქმის არ გააჩნია.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქვეყანაში შემდგომი პოლიტიკური ვაკხანალია, უმჯობესია კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნეს პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად გარკვეულ წევრთა რაოდენობის და ქონების ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობა. ვინაიდან არ შეიძლება ორ თუ სამ კაციან ჯგუფს ეწოდოს პარტია და მიზანი კი იყოს ფულის შოვნა. დღეს უამრავი პოლიტიკური პარტია, თავისი მიზნიდან გამომდინარე, შ.პ.ს.-ს უფრო ჰგავს და როგორც ზოგი მეცნიერი აღნიშნავს, ასეთი სურათი იხატება საზოგადოების წინაშე: მაქვს აგარაკი, მანქანა და საკუთარი პარტია. რა თქმა უნდა, არ არის აკრძალული პოლიტიკური გაერთიენების შექმნა, თუმცა, ნამდვილად მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიას შექმნისთანავე არ უნდა ჰქონდეს დაფინანსება სახელმწიფო ხარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უამრავ ასეთ „შ.პ.ს. პარტიებს“ მივიღებდით.

ზოგ მეცნიერს პოლიტიკოსთა ფინანსური უთანასწორობაც არადემოკრატიულად მიაჩნია და ამის მხარდასაჭერად ის არგუმენტი მოყავთ, რომ იზღუდება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმებით, კერძოდ პოლიტიკოსებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა აქვთ შესაძლებლობა ეძლევათ სხვებზე უფრო მეტი დრო და ადგილი იყიდონ (იგულისხმება ფასიანი პოლიტიკური რეკლამა – **ნ.ფ.**) ისინი უფრო მეტად გამოჩნდებიან და საარჩევნო კამპანიას მეტი დაფინანსებით წარმართავენ.[7] ამ მდგომარეობის გარკვეულწილად მოწესრიგება შესაძლებელია, კერძოდ საარჩევნო სუბიექტის დაფინანსების და მათ მიერ ფინანსური ხარჯვის ზედა ზღვრის სამართლებრივი განსაზღვრა, კონკურენტებს მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს (თუმცა, თავის მხრივ, ფინანსების შეზღუდვის იდეას შეი-

2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პარტიათა დაფინანსების ზუსტი მონაცემები

№	პოლიტიკური პარტია	წლიური დაფინანსება
1	რესპუბლიკური პარტია	133702.50
2	ახალი მემარჯვენეები (ახლები)	133702.50
3	ჩვენი საქართველოს თავისუფალი დემოკრატები	133702.50
4	საქართველოს გზა	133702.50
5	თოფაძე მრეწველები	256956.00
6	პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1757240.50
7	საქართველოს კონსერვატიული პარტია	157626.00
8	ხალხისპარტია	157626.00
9	მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“	157626.00
10	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	401123.50
11	ჩვენ თვითონ	201123.50
12	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია	201123.50
13	ლეიბორისტები	391338.00
14	ქართული დასი	86607.50
15	მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის	79407.50
16	ეროვნული ფორუმი	79407.50
17	თავისუფლება	86607.50

წყარო: *გაზეთი „ახალი თაობა“ №446, 23 ივნისი, 2010, გვ. 7.*

[6] http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=67

[7] ლანგი იაშა, მედია და არჩევნები, თბილისი, 2004, გვ. 53.

ძლება გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები და აღნიშნულს არადემოკრატიულობის იარლიყი მიეკეროს, იმ მოტივით, რომ იგი ამ მხრივ გარკვეულწილად ზღუდავს პარტიების თუ კანდიდატების მოქმედების თავისუფლებას).

ქვემოთ წარმოდგენილია ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული საბიუჯეტო დაფინანსებაზე არსებული პოლიტიკური პარტიების სია საქართველოში.

საარჩევნო სუბიექტებისათვის არჩევნების პროცესის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მიაღწიონ გამარჯვებას. აქაც ფინანსები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს ამომრჩეველთა მომხრობას, შენარჩუნებას და გადმობირებას. საარჩევნო სუბიექტები ცდილობენ მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებიდან. აქაც თანმშრომლობა და სარგებელი არის ორმხრივი. მთელ რიგ შემთხვევებში კმაყოფილი რჩება ისიც, ვინც აფინანსებს საარჩევნო სუბიექტს და ისიც, ვინც ამ დაფინანსებას ღებულობს. ინტერესთა ჯგუფებს და პოლიტიკურ სუბიექტებს თავიანთი ინტერესები გააჩნით, რომლებიც ერთმანეთს არ კვეთენ. ინტერესთა ჯგუფებს აქვთ ფინანსები, რაც ეხმარება გარკვეული მოთხოვნები წაუყენონ პოლიტიკურ სუბიექტებს არჩევნებში დაფინანსების სანაცვლოდ.

ამდენად, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები ფლობენ რესურსების ფართო არჩევანს ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად. ასეთ რესურსებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მათი ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობები.[8] როგორც წესი, ინტერესთა ჯგუფები უშუალოდ არ ცდილობენ პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას.*

არჩევნები არის დემოკრატიის ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ბარომეტრი. მის გარეშე შეუძლებელია დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციონირება. შესაბამისად საჭიროა, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიები თანაბარ საკანონმდებლო გარემოში იმყოფებოდნენ. ამასთან მკვეთრი ფინანსური დიფერენციაცია პარტიებს დამოკიდებულს ხდის დახმარებაზე, რამაც შეიძლება აზარალოს მათი იდეური ორიენტაცია და ზოგადად პარტიული სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ქენეთ ჯანდა, ჯეფრი მ. ბერი, ჯერი გოლდმენი,** ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, თბილისი, 1995;
2. **ლანგი იაშა,** მედია და არჩევნები, თბილისი, 2004;
3. **Hilaire Barnett,** Constitutional and Administrative Law. 2009;
4. **Michael Koss**, The Politics of Party Funding, 2010;
5. **Соловьев А.И.,** Политология, М., 2000;
6. http://www.opensecrets.org/pres08/moneyweb.php?cycle=2008
7. http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=67

ELECTIONS AND FINANCES

NIKOLOZ FIFIA
PhD student of GTU

When humans main care of is to make more material values and better own economic conditions, no wonder that finances take all sphere of our live, including politics and elections.

Interest groups and political subjects have got their own interests, which do not intersect each other. Interest groups have finances and this helps them to produce some requests to political subjects in return for election financing.

For electional subjects the main point at the election prosses is to gain a majority.

Election is one of the main and important barometer of democracy, without that is impossible normal function of modern social live. Accordingly, it is necessary, that political parties, taking part in the election have been in an equal legislative environment. At the same time sharp financial differentiation turns political parties into state of dependence on aid and this could lose their ideological orientation and in general party system as well.

[8] **Соловьев А.И.,** Политология, М., 2000, ст. 145.

* მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბოლო დროს საქართველოში შეინიშნება უპრეცედენტო და საინტერესო ცვლილებები პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურ ორბიტაზე ხდება ხელისუფლებით უკმაყოფილო ოლიგარქების აშკარად გამოჩენა, რომელთაც საკუთარი ბიზნესინტერესების დაკმაყოფილება არაპირდაპირი, წარმომადგენლობითი გზით ვერ შეძლეს და თავად მოისურვეს ამ ძირითადი და ასევე სხვა საკითხების მოგვარება.